„რა მკაცრი ბუნებაა!“ – ახლავდა შეათვალიერა არემარე ქუნთრუშამ. – „სულ გიგველი კლდეები, აქ არც ხეა და არც ბუჩქი. მშვენივრით ეს თეთრად მოსილი მყინვარი გამოირჩევა, რა დიდებულია! ჩემს სამფლობელოში კი მუდამ თბილა და ყვავილები ყვავის... სოფელში ჩავფრინდები. იქ მეგი სიმწვანეა. თან ვნახავ, როგორი ხალხი ცხოვრობს.“ – ქუნთრუშამ ფრთები გაშალა და გეზი სოფლისკენ აიღო.

სოფელს ჯერ არც კი იყო მიახლოებული, რომ სიმღერა შემოესმა. ცოცხა რომ მიუახლოვდა, სიტყვებიც გაარჩია:

„შენ ქრისტე ღმერთო,  
დასწერე ჯვარი,  
ახალ ყოილთა  
ერთად შაყრილთა.“

სოფელში ქორწილი იყო. უამრავ ხალხს ერთად მოეყარა თავი. დედოფლის მაყრები თავიანთი კუთხის სიმღერას მღეროდნენ. ილხენდა დიდი თუ პაგარა. სიმღერას ცეკვა ენაცვლებოდა. ქუნთრუშა აღფრთოვანებული ისმენდა და უყურებდა ყველაფერს. ის განსაკუთრებით ხანჯლებით ცეკვამ მოხიბლა.

– მიდი-ლა, ვეფხიავ, დაგრიალდი შენებურადა! – მოესმა შეძახილი ქუნთრუშას.

## Scarlet Fever

Scarlet Fever was a daydreamer. She wanted to visit far away lands, that is why she flew higher and higher in the sky and hovered above a lot of villages, beautiful mountains, valleys, waterfalls and meandering rivers.

Finally, she approached a huge mountain the top of which was covered with a magnificent glacier. Far, far below she could see tiny villages sheltering on bright green slopes and meadows.


*“I have never seen such beauty!” - exclaimed the delighted Scarlet Fever. “I am so lucky to have chosen this beautiful place. Naturally I am a little bit tired but who cares? I don’t regret my choice.”*

Suddenly a huge shadow covered the slope. Scarlet fever looked up and saw a huge bird disappearing above the cliffs. *“Such austere nature” – she looked around “all bare rocks and cliffs. No trees and bushes. Such a contrast to my kingdom where everything is gentle and green and a lot of flowers grow everywhere. This glacier is majestic and beautiful though. By the way, what am I doing here? Why don’t I visit one of the villages below? It seems greener and warmer there. Besides, I’d like to meet people who live there.”*

Scarlet Fever was about to approach the village when she heard people singing:

*“Christ blesses the flowers which are gathered here...”*

მობევეები არიან მებრძოლნი, ძლი-  
ერნი, ახოვანნი, ჰაეროვანნი...



The Mokheves are warriors, strong,  
tall, very refined...



ცხრა წლის ბიჭი, რომელსაც ვეფხიათი მიმართეს, ციბრუგით გრიალებდა და თან ხმამაღალი შეძახილებით ხანჯლებს ერთმანეთის მიყოლებით მიწაში არჭობდა. ქუნთრუშასაც მოუნდა ცეკვა. ბევრი არ უფიქრია და ვეფხიას შეაფრინდა. ვეფხო კი ისეთი სისწრაფით გრიალებდა, რომ ქუნთრუშას თავბრუ დაეხვა და კინაღამ ძირს ჩამოვარდა, ამიგომ უფრო მაგრად ჩაეჭიდა ბიჭს და განსაცმლის შიგნით შეიყუჟა.

ცეკვა მალე დასრულდა. თამაღამ სიჩუმე მოითხოვა. მან სასმისი შეავსო და თქვა:

– დღეს ჩვენ ორი დედუფალი გვეყოს. ერთაი ჩვენს სუფრას ამშვენებს, მეორე – ამ ჩვენს არემარესა.

„ნეგავ ვიბე ლაპარაკობს?“ – გაიკვირვა ქუნთრუშამ. თამაღამ კი მზერა მთებისკენ მიმართა და განაგრძო:

There was a wedding in the village. A lot of people had gathered to celebrate this event. Songs were followed by fiery dances. Scarlet fever was especially impressed by the dance with swords and daggers.

*“Go ahead, Vepkho, dance.”* A nine year old boy was dancing beautifully, swerving like a top throwing the daggers one after another while dancing.

Suddenly Scarlet Fever felt a burning desire to dance. She grasped the boy and they swirled around together. When the dance was over Tamada proposed the toast:

*“We have two brides here today. One of them adorns our table; the other is the pride of our mountains.”*

*“I wonder who the bride is”* - thought Scarlet fever.

The Tamada glanced at the glacier and went on: *“This impeccable white glacier is our bride as well.”*

*“Oh, that’s right! It looks as beautiful as the bride,”* agreed Scarlet Fever silently.

The Tamada went on: *“Nature affects our temper. Our boys are as stern as the mountains over here and our girls are as proud and pure as the glacier. May the bride and the bridegroom have a life as beautiful as the nature surrounding us and may their love be as eternal as these mountains”*. Tamada drank the toast and the feast continued. People were so much involved in songs and dances that nobody noticed Vepkho’s absence. The boy was missed when the people wanted to resume dancing again. The boy was found lying in the corner burning with fever.

„ბატონების“ გასამხიარულებლად მსახურები ცეკვავენ ჩაცმულები ფერად ტანსაცმელში ანთებული თაფლის სანთლებით ხელში.



In order to please and cheer up “Batonebi”, the servants danced dressed in colourful clothes with lighted wax candles in their hands.

– ეს თეთრად მოსილი მყინვარი ჩვენი კუთხის დედუფალია!  
„მართლაც დედოფალივით ლამაზია!“ – გულში დაეთანხმა ქუნთრუშა.  
თამადამ კი კვლავ განაგრძო:

– აქაურობა ჩვენს ხასიათსა და ბუნებაზე ძრიალ გავლენას ახდენს. ჩვენი კუთხის ვაჟები ამ ჭიუხებივით შეუვალნი და უდრეკნი არიან, ღიაცები კი მყინვარივით ამაყნი, ღირსეულნი და სპეგაკნი. დაე, ამ ჩვენი ნეფე-დედუფლის ცხოვრება აქაურ ბუნებასავით ლამაზი და შეწყობილი ყოფილიყოს, მათი სიყვარული კი – ამ მთებივით მარადიული! – თამადამ თავისი სიგყვა დაასრულა და სასმისი დაცალა.

ხალხი ნეფე-დედოფლის სადღეგრძელოთი ისე იყო გართული, რომ ვერავინ შეამჩნია ვეფხოს უგუნებობა. ის მაშინ მოიკითხეს, როცა ცეკვა-თამაშობანი ისევ განახლდა. დიდხანს ეძებეს და ბოლოს ძლივს იპოვეს. ვეფხია სიცხისაგან დამძიმებულ თვალებს ძლივს ახელდა და მოთენთილი კუთხეში შეყუჟულიყო.

– ე ბაღლ ჩინ წაიყვანეთ! – ბრძანა მოხუცმა ქალმა.

ვეფხო სახლში წაიყვანეს და მშვიდად მოასვენეს. ქუნთრუშას გული დასწყდა ცეკვა-სიმღერას რომ გამოარიდეს. მართალია სიმშვიდე ესიამოვნა, მაგრამ კიდევ უნდოდა თვალი შეეკლო ხანჯლებით ცეკვისათვის. თითქოს მისი სურვილი გაიგოთ, ვეფხიამ სიცხიანი თვალები ძლივს გაახილა და ხანჯალი მოითხოვა.

– ხანჯალ რად გინდა? – მკაცრად ასწია წარბი დედამ.

„ჩემს სურვილს არ ასრულებენ?!“ – გაბრაზდა ქუნთრუშა და ბიჭის მთელი განი მაშინვე წვრილ-წვრილი ყვავილებით დაფარა, ენა ჟოლოსფრად შეუფერადა და ჟოლოსავით ამობურცული გაუხადა. ეს ქუნთრუშას მობრძანების უცყუარი ნიშანი იყო და დედაც მალე მიხვდა მის სტუმრობას. ოთახი წითლად მორთო, შვილის სასთუმალთან ჩამოჯდა და ფანდურზე დაუკრა ქუნთრუშას გასამხიარულებლად. მერე კი გკბილი „იავნანე“ უმღერა:

„იავნანე, ვარდო ნანე, იავნანინეო,  
იამ გაშალა ვარდები, იავნანინეო,  
ბაგონების მამიდასა, იავნანინეო,  
ძირს გაუშლი ხალიჩასა, იავნანინეო,  
განა მარგო ხალიჩასა, იავნანინეო,  
ქეჩასა და ორხუასა, იავნანინეო,  
იავნანე, ვარდო ნანე, იავნანინეო,  
იამ გაშალა ვარდები, იავნანინეო.“

“Take this child home,” said the oldest woman sternly.

Vepkho was taken home and put to bed. Scarlet Fever was disappointed because she wanted to watch the dancers and perhaps, to dance herself. But, on the other hand, she was pleased by the peace and quiet of the house. Vepkho opened his eyes and asked for a dagger.

“A dagger?” asked his Mum sternly “why do you need a dagger?”

“My wishes are not being carried out in this household”. Scarlet Fever was angry and she started to paint the boy’s body with tiny flowers. Besides, Vepkho’s tongue looked like a raspberry, red and bulging.


Mum realised that they were having a visitor - Scarlet Fever. She decorated the room with red curtains and in order to appease Scarlet Fever’s anger, she sat down nearby and started to play the Panduri, singing a sweet melody of lullaby:

“Lullaby, lullaby,  
Violets opened Roses’ petals lullaby;  
I’ll meet batonebi’s aunt with pleasure,  
lullaby  
I’ll see her in as a godsend guest, lullaby,  
With a carpet on the floor, lullaby.”


Vepkho was tired and fell asleep soon. So did Scarlet Fever.

Both dreamed about a dagger. Next morning when the boy woke up, the first thing he saw was a dagger adorned with red stones hanging on the opposite wall.

სტეფანწმინდაში არის მწვერვალი რომელსაც „ხევის პატარძალს“ ეძახიან.



The mountain in Stepantsminda is referred to as the “Bride of Khevi”.



ვეფხოს რული მოერია და მალე ჩაეძინა კიდეც. ძილში მასაც და ქუნთრუშასაც ლამაზად მოჭედილი ხანჯალი ესიბმრებოდათ. შემდეგი დღეებიც წითელი თვლების ლიცლიცში გალია ვეფხიამ. ერთ მშვენიერ დღეს კი დილით თვალებგახელილმა კედელზე ჩამოკიდებული წითელი თვლებით მოჭედილი ხანჯალი დაინახა.

– თამადამ გამოგზავნა. ასე თქო: „ვეფხო მაგის ღირსიაო“ – უთხრა დედამ და ხანჯალი მიაწოდა შვილს.

ვეფხოსაც სულ დაავიწყდა თავისი ცუდად ყოფნა, ლოგინიდან წამოხგა, საოცარი სისწრაფით დაგრიალდა და ნასროლი ხანჯალიც იატაკზე ჩაერჭო მიბანში ამოღებულ ადგილს.

ქუნთრუშამ აღფრთოვანება ვერ დაფარა და გაში შემოჰკრა. გაშის ხმაზე ვეფხიას განიდან ყვავილები აიშალნენ და ქუნთრუშას კაბაზე მოიყარეს თავი.

„ეს ცეკვა ბაგონებს აუცილებლად მოეწონებათ. ჩქარა, ყვავილებო, ჩვენს სამფლობელოში! ასეთი „იავნანეც“ არსად მომისმენია!“ – ქუნთრუშამ ცეკვა-სიმღერებით სავსე უხილავ გუდას ხელი წაავლო და თავისი სამფლობელოსაკენ გასწია.




*“This dagger is for you from the Tamada. He said you were good enough for it.”* - said Mum handing the dagger to her son.

Vepkho forgot that he was ill. He jumped out of his bed and started to dance with the dagger. Scarlet Fever applauded with pleasure. They both swirled so happily that all the red flowers fluttered up like butterflies from Vepkho’s body back to Scarlet Fever’s plain dress.

*“Oh, Batonebi will also like this wonderful story with beautiful dances and songs. I must hurry up! Now, flowers, let’s go back to our kingdom. I have never seen such fiery and enticing dances and never heard such sweet songs.”* Saying these words Scarlet Fever grabbed her invisible bag which was now full of fiery dances and sweet melodies and headed for her kingdom.

„ბატონების მსახური“ თითქოს შუამავალია ავადმყოფსა და „ბატონს“ შორის. ის უნდა იყოს კარგი მჭერმეტყველი, იცოდეს ტკბილად მოყოლა სხვადასხვა გასართობი ამბებისა. „ბატონების“ სმენა დაატკბოს ჩონგურის დაკვრით და ზედ დამღერებით. იცოდეს ცეკვა, იყოს მომთმენი და ა. შ.



A servant of “Batonebi” is considered to be an intermediary between the sick person and the disease. They should be eloquent, able to tell fairy tales well, recite poems, sing and dance. As well as this, the servants should be patient with the disease.

ყბაყურა სიბანტიტ გამოირჩეოდა. არ იფიქროთ, რომ მისი ამბავი ბოლოსთვის ჩვენ მოვიტოვეთ. ის თვითონ ჩაფრინდა ძალიან გვიან ისეთ სოფელში, სადაც მასავით დინჯი ხალხი ცხოვრობდა.

ღამე იყო, როდესაც ყბაყურა ერთ ებოში დაფრინდა. გზა ციციანთელებმა გაუნათეს. ხეებს შორის ისე ლამაზად კიაფობდნენ, თითქოს ჭუჭრუგანებიდან მზის სხივები შემოპარულანო. ის იყო ფიქრი დაიწყო, ახლა საით წავიდეთ, რომ კარის ჭრიალი გაიგო. სახლის ბღურბლი მთასავით კაცმა დაფარა. ცას ახედა და დინჯად თქვა:

– ე, მთვარეუკა გზას ქვე გაგვინათებს. ხვალ კარგი დარი იქნება.

კაცმა თოფი მხარბე გადაიკიდა და პაგარა ბიჭთან ერთად გზას გაუდგა. ყბაყურას დაღლილობა სულ გადაავიწყდა და მათ აედევნა. შუაღამისას ერთ უბარმაზარ ნაძვთან გაჩერდნენ.

– ამ ნაძვის ძირში დავისვენოთ, – უთხრა მამამ შვილს და ნაძვის ტოტების ქვეშ შეძვრა. ბიჭიც მამას მიჰყვა.

გამთენიისას, როდესაც მზე ჯერ კარგად არცკი ამოწვერილიყო და მის სხივებს მხოლოდ მთის წვერები შეეფერადებინათ, მამამ შვილი გააღვიძა.

– ბუკია, ადე შვილო! წავიდეთ, დროა.

მამა-შვილი აღმართს აუყვა. ცოცა ხანში წყაროს ჩუხჩუხი შემოესმათ.

– ეს რა წყალუკაა, მამა?

– ეს მუავე წყალია – ვეძა, ჩვენ მის სათავესთან უნდა ავიდეთ, – უპასუხა მამამ.

ცოცა ხნის სიარულის შემდეგ მამა შედგა, შვილს მიუბრუნდა და ანიშნა, ჩუმად იარეო. მათ ფეხაკრეფით შემოუარეს დიდ ლოდს და თვალწინ საკვირველება გადაეშალათ – ვეძას ჯიხვი დასწაფებოდა და ხარბად სვამდა. უცებ ჯიხვმა თავი ასწია და სმენად იქცა. მამა-შვილს სუნთქვა შეეკრა. ჯიხვი გაგრიალდა, ერთიორი ნახტომი გააკეთა და გაუჩინარდა.

ბუკიას გული დასწყდა და ის იყო მამისთვის რაღაცის თქმა დააპირა, რომ ხმაური მოესმა. ჯიხვი კვლავ გამოჩნდა და თან თეთრი შუნი\* მოიყოლა. ასეთი სილამაზე ბიჭს ჯერ არ ენახა. ყბაყურაც გაოცებული შეჰყურებდა ბუნების ამ საოცრებას. მამამ მხარბე თოფი შეისწორა.

\* შუნი – დედალი ჯიხვი

## Mumps

Mumps was idle and slow. Don't think that we have left him behind on purpose. Now, he landed in the village where people were as slow as he himself.

When he finally landed in one of the gardens it was getting dark. Fireflies were sparkling like the sun's rays peeping through the keyhole. As soon as Mumps started to think where to go next, the door opened and a huge man came out of the house. He looked up at the sky and said slowly:

*"Tomorrow is going to be good weather. The moon will shed its light on us and light our way."*

The man took the rifle and set off together with his son, a small boy.

Mumps forgot he was tired and ran after them. In the middle of the night they stopped near a tall fir tree.

*"Let's have a little rest here,"* Dad said to his son. And they both sat down near a fir tree.

At dawn, when the sun was still down but colouring the top of the mountains pink, Dad woke the boy up :

*"Zuka, sonny. Get up! It's time we set off!"*

Thus they went on their way. Suddenly they heard a spring gurgling behind the bushes.


*"Is that water, Dad? What water is that?"* - asked Zuki.

*"It's fizzy mineral water-called Vedza. we should go on with our way until we reach the mouth of the spring."*

რაჭველები – კაცნი არიან ტანოვანნი,  
მხნენი, ბრძოლასა შინა შემმართებელნი,  
ძლიერნი... დინჯნი. ქალნი მშუენიერნი,  
რბილნი.



The Rachvelians are tall, courageous,  
good at war, strong and thoughtful. Women  
are beautiful and gentle.



„ვაი, არ ესროლოს,“ – შეშფოთდა ყბაყურა და მამა-შვილთან უფრო ახლოს მიიწია. მალე ჯიხვების მთელი ჯოგი გამოჩნდა. ჯიხვებმა მუხავე წყალი დალიეს და ხტუნვა-ხტუნვით მაღლა კლდეებში გაუჩინარდნენ. მათ შორის აქა-იქ გაკრთებოდა შუნის სითეთრე.

ბუკია კარგა ხანს ჩუმად იყო. მერე მამას მიუბრუნდა და გაკვირვებულმა ჰკითხა:

– რატომ არ ესროლე?

– რას ამბობ, ბუკი? გაბაფხულბე ნადირობა ვის გოუგონია? ამ დროს ნადირი მრავლდება. ი თეთრი შუნი, შენ რომ თვალი ვერ მოსწყვიტე, შვილუკას ელოდება, ვაცი კი, ჯიხვების ჯოგს წინ რომ მოუძლოდა, იმ პაგარიკას მამა უნდა გახდეს, თანაც მთელი ჯოგი მას აბარია. ხომ დაინახე, ჯერ მარცხო მოვიდა, როცა

Some time after Dad stopped and motioned to the boy to walk more softly. They tiptoed round a huge rock and suddenly saw a marvellous sight, a mountain goat was drinking the water quickly. Dad and son stood nearby staring at the beautiful animal. Suddenly the mountain goat pricked his ears and in a second he had disappeared.

Zuka was frustrated and was about to say something when the mountain goat appeared again bringing along his beautiful partner. The boy had not seen such a beauty before. Mumps was also stunned by the beauty of this wonderful animal.

Dad moved his rifle.

*“Oh no, please, don't shoot!”* - Mumps was horrified at the thought. Suddenly the herd of mountain goats appeared from nowhere. They all stood on the hill for a moment and afterwards stealthily approached the spring, drank the water and then leapt back to the rock. In a minute they disappeared among the trees.

Zuka was silent for a moment and then he turned to his Dad and asked why he had not shot.

*“Zuka, we can't hunt in spring, they are expecting their kids then. The she-goat you liked so much was expecting her kid too. The leading goat is going to become his Dad. Did you notice that first he came on his own to check everything was alright? When he made sure that everything was safe he brought his family back to the spring.”*

„ბატონების მსახური“ შეიძლება იყოს როგორც ქალი ისე მამაკაცი. მას მოხდელი უნდა ჰქონდეს ეს სენი.



“The servant of Batonebi” may be a man or a woman. They have already had the contagious disease.

დარწმუნდა, რომ საფრთხე არ ემუქრებოდათ, დანარჩენები მერე მოიყვანა.  
ბუკია გაოცებული უსმენდა მამას. ეს მისი პირველი წამოსვლა იყო  
სანადიროდ, დიდი ხვეწნის შემდეგ როგორც იქნა დაითანხმა მამა. ახლა კი  
შეიგყო, რომ მამა ნადირობას სულაც არ აპირებდა.

„რისთვის წამოიღო თოფი?“ – ვერაფერი გაეგო ყბაყურასაც.

– შენ ხომ შემპირდი, განადირებო. ცყუილად მავარჯიშებდი თოფის სრო-  
ლაში? – ბურთი ყელში მოაწვა ბუკიას.

– მაგის დროც დადგება, – დაამშვიდა მამამ.

– აბა ახლა რისთვის წამომიყვანე? – გაოცებული თვალები შეანათა მამას  
ბუკიამ.

– ახლავე ყველაფერს შენივე თვალით ნახავ, – უთხრა მამამ და თან ანი-  
შნა – გამომყევით.

ყბაყურაც მათ კვალში ჩადგა.

– აი, აქ, – შედგა მამა და მიწისკენ თითი გაიშვირა – ჩემი თოფი აქ  
დაიმარხება!

– როგორ? რატომ? – კითხვები დააყარა ბუკიამ.

– ქვე შენი ჭირიმე, ჩემო ბუკი, – დინჯად დაიწყო მამამ. – ბუსტად შენი  
ხნის ვიყავი, ნადირობა რომ დავიწყე. იმ დღიდან მოყოლებული, მიბანში რაც  
ამოვიღე, არც ერთი არ ამიცილებია. ბევრი ნადირი დავხოცე, ბევრი დავა-  
ობლე...

აქ ბუკიას მამა შედგა, ცოცხა ხანს ჩუმად იყო. მერე შვილს შეხედა და განა-  
გრძო:

– მეყო ბუკი ნადირის მოკვლა. დროა ჩემმა თოფმა დაისვენოს\*. აგერ, ამ  
ადგილას ჩავმარხავ მიწაში და მეც ახალ ცოდვას აღარ დავიდებ კისერზე.

მამამ თავისი თოფი მიწაში ჩამარხა. თავისთვის ჩუმად ლოცვასავით  
რალაც თქვა და შვილთან ერთად უკან გამობრუნდა. ყბაყურა ძლიერ გაახ-  
არა ამ ამბავმა და ბუკიას კისერზე ჩამოეკიდა, მაგრამ ბუკიას სიხარული არ  
ეგყობოდა და გულში ბრაზობდა:

– რა ვუთხრა ბოვშებს?! გუშინ მთელი დღე ვეჭრაბახებოდი, ჩემს მოკლულ  
ჯიხვს ჩამოვიგან-მეთქი.

– ვერ გაიგე ბუკი მამამ რა გითხრა? – ბიჭის მხარზე გადაინაცვლა ყბა-  
ყურამ და ყურში ჩასჩურჩულა: – ნამდვილი მონადირე არც მაკე ნადირს  
ესვრის და არც ჯოგის მეთაურსო.

\* ჩემმა თოფმა დაისვენოს – მონადირეთა შორის არსებობდა შემდეგი დაუწერელი კანონი: როდესაც მონადირის მიერ  
მოკლულ ნადირთა რიცხვი გარკვეულ რაოდენობას მიაღწევდა, მონადირე თოფს მიწაში მარხავდა და ნადირობას თავს  
ანებებდა – ამას ეწოდებოდა „აზარის დაფლა“.

Zuka was dumbfounded. This was his first hunting trip. He had been pleading with his Dad for ages to take him hunting and now, when they actually were there, when his dream had become true, Dad was not even going to shoot a single shot!

*“Why did he bother to bring his rifle along then?”* - even Mumps was confused.

*“You have promised to let me hunt! Didn’t we train a lot in shooting?”* - Zuka was ready to cry.

*“Don’t worry, the time will come when we will hunt”* - Dad tried to calm him down.

*“But why have you brought me here if you are not going to let me hunt?”* - Zuka asked surprised.

*“Now, you will see it for yourself,”* said Dad and beckoned Zuka to follow him. Mumps also wondered what would happen.

*“Now, there, I am going to bury my rifle nearby,”* started Dad.

*“Why... how...”* - Zuka was interested to know.

*“Zuka, I started hunting when I was your age. As you see, since then I have sinned a lot. I’ve killed a lot of animals. Now I am not going to sin again.”* - saying these words Dad buried the rifle in the ground and murmured some words which sounded like a prayer and which Zuka could not make out. In a little time they both set off home.

\* Shuni is a female mountain goat

\*\* Let my gun rest there was an unwritten law among the hunters: when a hunter killed a certain number of animals he would bury his gun in the ground and give up hunting.

თუ „ბატონმა“ სმენა წაართვა ავად-  
მყოფს ან თვალის ჩინი, სამ წელიწადს  
წმინდა ბარბარეს ეხვეწებოდნენ მორჩე-  
ნას.



If “The Merciful” left the sick person either blind or deaf the parents implored St. Barbara for three years to cure the sick person.

– შენ კიდევ რას შემომიჩნდი, ვიღაცა ხარ. მეც ავდგებოდი და სხვა ჯიხვს მოვკლავდი! – ბობოქრობდა ბუკია.

– მერე შენ ხომ ჯერ არ იცი გარჩევა, რომელია მაკე და რომელი არა. – ყურში შეუძვრა ყბაყურა, იქნებ რამე გავაგებინო. მაგრამ ბუკიას არაფრის გაგონება არ სურდა. ის ნაწყენი იყო მამაბეც და იმ ხმაბეც, რომელიც ყურში განუწყვეტლივ რაღაცას ჩასჩურჩულებდა.

ბუკიას ურჩობამ ძალიან გააბრაზა ყბაყურა. ყურში ღრმად შეუძვრა და გაუსია. ბუკიას თავი და ყელი ასტკივდა. უცბად მოდუნდა და დასუსტდა. მერე აღარაფერი ახსოვდა. ბიჭი მამამ ხელით ჩამოიყვანა სოფელში.

იმ ღამეს ბუკიას სიცხემ აუწია. ამცივნებდა. სახე გაუსივდა და ყელმაც უფრო შეაწუხა.

ბუკიას დედა ყბაყურას სტუმრობას მალე მიხვდა. სიხარულით შეეგება და საკადრისადაც დაუხვდა. ტკბილეულის სუფრა გაუშალა, ებოს სურნელოვანი ყვავილები დაუკრიფა, მომღერალი ბაგონების მსახურიც მოიწვია და მასთან ერთად ყბაყურა ბაგონს „იავნანა“ უმღერა:

„იავნანა ბაგონებო, ვარდო, ბაგონებო,  
იავნანა ბაგონებო, ვარდო, ბაგონებო,  
დატკბით, დატკბით დაშოშინდით, ვარდო ბაგონებო.  
დატკბით, დატკბით დაშოშინდით, ვარდო ბაგონებო.“

ბაგონების მსახური რომ წავიდა, დედამ ბუკიას ყელი ცყლაპით თბილად შეუხვია. დედას კარგად ახსოვდა, რომ ბავშვობაში ბებომ თავადაც სწორედ ასე მოარჩინა.

დღე დღეს მისდევდა. უკვე მეორე კვირა ილეოდა, რაც ბუკია ავად იყო, მაგრამ მის გამოჯანმრთელებას სასიკეთო პირი არ უჩანდა.

– ბუკია შვილო, ყბაყურა ბაგონი განაწყენებული გვყავს. იქნებ შენ იცი მისი გულისწყრომის მიზეზი? ან იქნებ რამე გინდოდა და ვერ შეგისრულეთ? – ჰკითხა დედამ შეშფოთებით.

– მე ნადირობა მინდოდა, მამამ კი თოფი მიწაში დამარხა! – გაბრაზებით წაიბუგბუგა ბუკიამ.

– აი, თურმე რა... – ჩაფიქრებით თქვა დედამ. მერე შვილს სასთუმალთან დაუჯდა და უთხრა:

– იცი, ბუკი, ბაგონებს თოფის ხმა სასტიკად ეჯავრებათ. შენ ჯიხვის მოკვლა გინდოდა და არ დაფიქრებულხარ, რომ მათაც ჰყავთ მშობლები და ისევე უყვართ თავიანთი შვილუკები, როგორც ადამიანებს. მე რომ შენი თავი ვინმემ წამართვას, რაღად მინდა სიცოცხლე! დედა ჯიხვიც თავს გასწი-



Mumps was delighted with this news and embraced Zuka but the boy still looked disappointed.

*“What shall I tell my friends back at home? I boasted a lot all day long yesterday that I would hunt a mountain goat today.”*

*“Zuka, did not you hear what Dad said”* - Mumps whispered in the boy’s ear. *“A real hunter shoots neither a goat expecting a kid nor a leader of the flock.”*

*“Who are you after all?”* - Zuka was annoyed *“You can’t even tell a female goat from a male.”*

Mumps pressed closer to the boy. But being angry with Dad and some small voice who kept whispering annoying things into his ear, Zuka did not want to hear anything. Now, it was Mumps turn to get annoyed. He crawled into the boy’s ear and made it swell and swell. Zuka had a splitting headache and a sore throat. He felt so weak and exhausted that Dad brought him back to the village in his arms.

That night Zuka had a fever.


Mum soon recognised the symptoms of Mumps’ presence. She greeted Batonebi with pleasure, baked cakes, put a lot of sweets on the table , picked beautiful flowers in the garden, asked Batonebi’s servant and sang a lullaby to her son.

*“Lullaby, Batonebo, lullaby,  
Calm down, batonebo,  
Sweeten your anger, lullaby.”*

ავადმყოფს თავზე შესანიშნავს შემოავლებდნენ – ყვინჩილას, ვარიას ან თიკანს. ფეხშიშველი მიდიოდნენ ეკლესიასთან და შესანიშნავს ტაძრის ეზოში გაუშვებდნენ.



The rooster, hen or a kid which was destined to be sacrificed to “Batonebi”, was turned round above the sick person’s head. After this, the members of the family went to church barefooted and the animal or bird intended to be sacrificed was left in the yard.



რავს თავისი შვილუკასათვის. — დედას თვალები ცრემლით აევსო, მაგრამ მაინც განაგრძო:

— შენი ურჩობისათვის ყბაყურამ შეიძლება ისე დაგსაჯოს, რომ შვილები აღარ მოგეცეს... — აქ კი დედამ თავი ველარ შეიკავა და სასწრაფოდ გარეთ გავიდა, რომ მისი ცრემლი ყბაყურას არ დაენახა.

ბუკია დიდხანს იწვა ჩაფიქრებული და დედის ნათქვამზე ფიქრობდა. ბოლოს დინჯად, ისე როგორც მამამ იცოდა, თქვა:

— ქვე შენი ჭირიმე, ყბაყურა ბაგონო, მართალი ხარ, დიდი ცოდვაა ნადირის მოკვლა. გაბრდები, რომ ჩემი სიამოვნებისათვის ნადირს არასდროს მოვკლავ.

When the servant left, Mum bound Zuka's throat warmly (she remembered quite well how her Mum used to treat her siblings when they had Batonebi).

Day followed day... Time passed. After a fortnight Zuka had still not recovered.

*"Zuka, my love, Mumps is angry with you. Do you have any idea why he can be so angry? Have you done something naughty to infuriate him or perhaps you had some desire that we weren't able to fulfill?"* - asked Mum anxiously.

*"I wanted to hunt but Dad buried the rifle and would not let me"* - complained Zuka.

*"Oh, this must be the reason then..."*, said Mum thoughtfully and she went on, *"You know, sonny, Batonebi dislike shooting. You wanted to kill a mountain goat but you did not even think that animals also have parents and they love their children as we do. Mother mountain goat loves her children as much as I love you, like me, she would gladly give her life for her kid."* Mum's eyes were full of tears, but she continued, *"Zuka, you must have been naughty. For this you may be punished severely and Mumps may take your future children away from you."*


Zuka thought for a long minute and afterwards, he said slowly: *"Please, please, Batonebo, you are right. It's a great sin to kill animals for pleasure. I promise I will never do this."*

Hearing this, Mumps crawled out of the boy's ear as soon as he could and perched on his nose. *"You are so lucky to have such*

„ბატონების მსახური“ ერთგვარ დეზინფექციას უკეთებდა სახლს რაიმე ყვავილისა და იის ფოთლების ნაყენით. ყველგან იის სუნი ტრიალებდა, რაც ძლიერ უყვარდა „ბატონს“.



One of the duties of the "servant of Batonebi" was to disinfect the house using some flowers and extract of the leaves of the violet. It was believed that Batonebi liked the fragrance of violets.




ყბაყურა სასწრაფოდ გამოძვრა ბუკიას ყურიდან და ცხვირზე დაასკუპდა.

– ბედნიერი ხარ, შენ, ბუკია, მშობლები რომ გყავს, – უთხრა ყბაყურამ, – გაუფრთხილდი მათ. ისინი ბევრჯერ დაგეხმარებიან. მე კი უნდა წავიდე, დროა, რადგან შენ ყველაფერს მიხვდი, მეც ნასიამოვნები ვარ. მხოლოდ გყლაპს გავიყოლებ, ძალიან გემრიელია.

ყბაყურა ცაში აიჭრა. ბუკია გარეთ გამოვარდა და ყბაყურას შესძახა:

– ყბაყურა ბაგონო, დედამ მითხრა, ყბაყურა რომ გააბრაბე, შეიძლება...

– ნუ გეშინია, ბუკია, ბევრი შვილი გეყოლება, ბევრიიი...



*parents, Zuka, cherish them and look after them. They will always be there for you whenever you need them. I have to go now, I am pleased you understood everything. Before that, I'll help myself to this delicious piece of dried up plum."*

Mumps rocketed up in the sky. Zuka ran out of his room and shouted to him:

*"Mumps Batono, my Mum said that I have made you angry and I may not have..."*

*"Don't worry, Zuka, you'll have a lot of children..."*

ყბაყურას დროს სივდება სანერწყვე ჯირკვლები, ზოგჯერ სათესლეები... იშვიათი, მაგრამ საშიში გართულებაა შუა ყურის ანთება, რასაც სურუე მოჰყვება.



Mumps leads to swelling and pain in the salivary glands and, sometimes, in the testicles. complications also include, though rarely, inflammation of the middle ear which ends up with deafness.

ყვავილი, როგორც მოგახსენებ, ბატონებს შორის ყველაზე უფროსი გახლდათ. თავის დროზე ის ძალიან სასტიკი იყო. მისი გამოჩენა შიშის ბარს სცემდა დიდსა თუ პაგარას. ადამიანები ყვავილის სახელის გაგონებაზე შიშნარევი მოკრძალებით ივსებოდნენ და უსაბღვრო რიდით ეპყრობოდნენ. ყვავილი ბოგს თვალის ჩინს ართმევდა, ბოგს – სმენას, ბოგს კი სახეზე ნიშანს უტოვებდა, თუმცა ბევრი თავის სამფლობელოშიც მიჰყავდა მსახურად. იშვიათად თუ ვინმეს სწყალობდა და უვნებელს ტოვებდა, ამიტომ მას დიდ ბატონს ეძახდნენ. ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინათ. ბატონთ უფროსმა შემდეგ ის ყველაზე ღმობიერი გახადა. მხოლოდ გარეგნობა დარჩა მკაცრი. მისი ჩვილი გულის ამბავი დანარჩენმა ბატონებმა კარგად იცოდნენ, მაგრამ ყვავილის რიდი და მოკრძალება ჰქონდათ დარჩენილი. დედამიწაზე მისი ძალა დიდი ხანია აღარავის ახსოვდა. ახლა ყვავილს აღარავინ უბოდიშებდა, არ ართობდა და აღარც ნაზ სურნელებას უკმევდა.

„ნუთუ მართლა აღარავის ვახსოვარ?“ – დარდობდა ყვავილი, – „იქნებ ჩემი პატივისმცემელი ერთი ადამიანი მაინც აღმოჩნდეს სადმე.“

ამ იმედით ყვავილი დიდ ქალაქს ესტუმრა. ის იყო ერთ-ერთ სახლში მისვლა დააპირა, რომ დედის „იავნანა“ მოესმა:

„იავ ნანა, ვარდო ნანა,  
იავ ნანინათ“...

საღამო ხანი იყო და ყველა სახლიდან, სადაც კი ბავშვს აძინებდნენ ამგვარი სიმღერა ისმოდა.

„მე ხომ ჯერ არ ვსტუმრებივარ მათ?“ – უკვირდა ყვავილს, – „რაგომ მღერიან ამ სიმღერას? ბავშვებს ხომ ყოველთვის „ნანათი“ აძინებდნენ, „იავნანა“ კი ჩვენთვის, ბატონებისთვის იმღერებოდა,“ – გაოცებას ვერ მალავდა ყვავილი. თანაც რა უცნაურად მღერიან?! „იავნანა ვარდონანა-თი“ იწყებენ, მერე კი „დაიძინე გენაცვალეს“ უმღერიან ბავშვებს. არა! ესენი მე არ მიმღერიან. მათ მხოლოდ გადმოცემით იციან ჩემი სისასტიკე. ალბათ ამიტომაც იწყებენ სიმღერას „ია და ვარდო ნანა-თი“, – გული დასწყდა ყვავილს და ასე ფიქრში გართულს ჩაეძინა ერთი სახლის ფანჯრის რაფასთან.

დილას ბავშვების შრიამულმა გააღვიძა. მთელი სახლი ბავშვებს აევისოთ. იმ ოთახში, რომლის ფანჯრის რაფაზეც ყვავილი ისვენებდა, ახალგაზრდა ქალმა ბავშვები გარს შემოისხა. ჯერ რაღაც უამბო, შემდეგ კი სიმღერა

## *Small Pox*

Small Pox was the eldest among Batonebi. He used to be ruthless once his appearance horrified people everywhere. They were panic-stricken when he was around. He made a lot of people blind, others became deaf, or left marks on their faces. Besides, he took a lot of people to his kingdom.

Very seldom he took mercy on people. Because of this he was called Big Batoni. But this was a long time ago.


A later prince of Batonebi made Small Pox very kind and soft-hearted though he still looked severe. Everybody knew about his tender heart now but in spite of this he was still considered to be awesome. Small Pox was a bit disappointed that nobody took care of him any longer. It was absolutely frustrating not to be sung to or even being entertained.

“I can’t believe this! Nobody ever mentions my name! I wonder if there is a single person in the world who would remember me and who would care for me”


– he wondered.

Hoping for the best he approached a big town. He was about to enter one of the houses when he heard a lullaby. It was a quiet evening, it was getting dark and he heard the sweet melody of a lullaby coming through the open windows. Small Pox was pleasantly surprised. He wondered why people would sing that song when they had not seen him

ყვავილს „დიდი ბატონის“, „მადლიანის“ ან „მადლოვანის“ სახელით მოიხსენიებდნენ. როცა ყვავილი გაჩნდებოდა, მოსახლეობა კრძალვითა და რიდით გაიძახოდა: – „ვაი, მადლოვანი გამოჩენილაო“.



Small pox was referred to as “Great Prince”, or “The Merciful”. When people were certain that the child was ill with small pox, they would say with awe: “The Merciful” has arrived!”



წამოიწყო. ბავშვებიც მის ნამღერს იმეორებდნენ. და ...ჰოი საოცრებავ!  
ისინი თავად მას, ყვავილ ბაგონს უმღეროდნენ;

„იაუნანა, ვარდო ნანა, იაუნანინაო,  
აქ ბაგონები მობრძანდნენ, იაუნანინაო,  
ბაგონებო, მხიარულნო, იაუნანინაო,  
თქვენსა გზასა ია-ვარდი, იაუნანინაო,  
ჩვენ დაგვგოვეთ, თქვენ წაბრძანდით, იაუნანინაო,  
თქვენი გზა დაილოცება, იაუნანინაო,  
იაუნანა, ვარდო ნანა, იაუნანინაო“.

აქამდე ბავშვების ნამღერი „იაუნანა“ არასდროს მოესმინა ყვავილს. მას  
ყოველთვის დიდები უმღეროდნენ. ყვავილს გული აუჩუყდა და თვალები ცრემ-  
ლით აევსო.



as it was usually sung in his honour. He also noticed that this new song sounded a bit different to the one he was used to hearing. Small Pox perched on one of the window sills and fell asleep.


In the morning he was awoken by some noise. When he opened his eyes he saw a lot of kids in the house. In the room where Small Pox was having a rest a young lady surrounded by small kids was singing a song. When she finished singing, she started to retell some story and afterwards the kids resumed singing. What did they sing! Small Pox was delighted to hear a song in his honour again:

*“Lullaby, lullaby,  
Batonebi have arrived,  
You are welcome, batonebo, lullaby,  
Leave us, may your path be blessed,  
Leave us peacefully, lullaby.”*

Small pox had never heard children sing in his honour. He was moved to tears. “My little ones, you are so good to me, you have sung wonderfully! I don’t need anything, I’ll just take the song with me”.

Small Pox kissed each child with love and gratitude and flew back to his kingdom happily.

ქართლები არიან მშვენიერი და  
მშვიდნი. ქალნი ფრიად კეკლუცნი.



The Kartlians are beautiful and calm.  
The women are quite coquettish.



„თქვენი ჭირიძე, პაგარებო, რა ლამაზია თქვენი ნამღერო. მეგი დაყვება ვეზა რაღად მინდა, მხოლოდ თქვენს სიმღერას გავიყოლებ თან.“ – ეს თქვა ყვავილმა, ყველა ბავშვს სათითაოდ სიყვარულისა და მადლიერების ნიშნად მხარზე ეამბოროა და ორმაგად ფრთაშესხმულმა იქაურობა დაგოვა.

\* \* \*

თეთრი ბლვის ნაპირას ჩვენს ნაცნობ ბაგონებს მოეყარათ თავი. თავიანთი უხილავი გულები ეჭირათ და ოქროს ხიდის გამოჩენას ელოდნენ. მოლოდინში კი ერთმანეთს ნანახსა თუ გაგონილს უყვებოდნენ. მათ ბევრი მხარე მოევლოთ და საოცრებებს ჰყვებოდნენ.

- იცით, მე კლდეში ნაკვეთი ქალაქი ვნახე...
- მე ისეთ ხალხთან მოვხვდი, მიცვალებულს რომ სიმღერით მიაცილებენ.
- მე კი მეთევზეებთან ვიყავი. ყოველდღე უამრავი თევზი ამოჰქონდათ ბლვიდან და ერთმანეთს ეგრაბახებოდნენ, თანაც შეხმაგკბილებულად მღეროდნენ და ცეკვავდნენ.
- მე კი ისეთი პაგივით შემხვდნენ, სულ იმას გაიძახოდნენ, აჰ! ახლა რა გესიამოვნებათ, აჰ! რა მოგართვათ, რით გაგამხიარულოთო.
- მე კომპკებში მცხოვრები ხალხი ვნახე...

ერთმანეთს არ აცდიდნენ ბაგონები შთაბეჭდილებების გაზიარებას. მალე ოქროს ხიდი გამოჩნდა. ბაგონებმაც თავიანთ გულებს ხელი წამოავლეს და ხიდისკენ მიმავალ გზაზე რიგში ჩადგნენ. სულ მალე ბაგონები თვალს მიეფარნენ და ხიდიც ნელ-ნელა გაქრა.

ასე ამბობენ, სანამ ის ხიდი გაქრება, ბაგონთა სამფლობელოდან უნაბესი და უგკბესი სიმღერები ისმისო. ბაგონები რიგრიგობით ხსნიან გულებს თავს და ბეციურ ბაგონს სმენას უგკბობენო. მერე კი, როცა გულები დაცარიელდება, ისევ ჩვენსკენ გამოფრინდებიანო.

წინაპრებისგან ისიც თქმულა, რომ სტუმარი ღეთისაა და მას საკადრისად უნდა დახვდეო.

\* \* \*

At the shore of the White Sea Batonebi were getting together. They were carrying their invisible bags and were waiting for the gold bridge to appear again. While waiting they were telling each other what they had seen and experienced. They had been to wonderful places and seen wonderful things.

*“You see, I have seen a town carved in stone.”*

*“And I came across the people who chant when someone dies”*

*“I lived with fishermen who went out in the open sea and kept boasting to each other about who had caught the biggest fish”*

*“People met me with love and respect”*

*“And I saw people who live in towers high up in the mountains”*

Batonebi would never stop talking about their experiences but the gold bridge appeared. Batonebi took their bags and queued up to get on the bridge on time.


Soon the bridge disappeared taking Batonebi high up in the sky.

It is said that before the bridge disappears you can hear sweet melodies sung in the kingdom of Batonebi. This happens because one by one Batonebi open their bags and listen to the melodies Mums sing to their little ones. As soon as the bags are empty, Batonebi fly towards us again.

It is also said that for Georgians, guests are a godsend and they should be met with love. We know how to let the Batonebi in.



სვანების რწმენით, ამქვეყნად ყველაფერს, მათ შორის დაავადებებსაც, თავიანთი ღვთაება ჰყავდათ, რომელთაც ფუნქციები დიდი ღმერთისაგან ჰქონდათ მინიჭებული.



The Svans believed that everything, including diseases had their own gods who gave them their corresponding right to live and function.

მობრძანდით, ბატონებო, დაილოცა თქვენი სახელი! ჩვენ ვიცით, როგორც უნდა დაგხვდეთ.

თქვენ კი, ვისაც ბატონები ჯერ არ გსტუმრებიათ, გახსოვდეთ, რომ ისინი ბოროტები არ არიან, ოღონდაც ნუ გააბრაზებთ: უცეკვეთ, უმღერეთ, დააგებეთ, დაუყვავეთ და ისე გააცილეთ. ბატონები კეთილად წავლენ, რადგან სტუმრად მისვლას, მაინც თავიანთ სამფლობელოში ყოფნა ურჩევნიათ.

## დასასრული



- 
- \* კლდეში ნაკვეთი ქალაქი – საუბარია ვარძიაზე
  - \* მიცვალებულს სიმღერით მიაცილებენ – საუბარია სვანების წეს-ჩვეულებაზე.
  - \* თევზი ამოჰქონდათ ზღვიდან... მღეროდნენ და ცეკვავდნენ – ეს ბატონი აჭარაში მოხვდა.
  - \* აჰ! ახლა რა გესიამოვნებათ – აჰ – აფხაზურად ბატონს ნიშნავს. მას უდიდესი პატივისცემით ეპყრობიან და ეპითეტებით ამკობენ: ოქრო მშვენიერო.
  - \* კოშკებში მცხოვრები ხალხი – საუბარია აღმოსავლეთ საქართველოს კოშკებში მცხოვრებ ხალხზე, კერძოდ ხევსურებსა და თუშებზე.
  - \* ძველად საქართველოში, ჯენერის აცრის აღმოჩენამდე ფართოდ გავრცელებული იყო დაავადების შესაჩერებლად ისეთი ქმედება, რომელაც ერქვა „ყვავილის დაპატიყება“

And you, my little one, if you have not seen Batonebi yet, don't forget that if you do not make them angry they will leave peacefully. What you have to do is to entertain them as you entertain guests - sing and dance for them, cherish and care for them. If they are treated so then they will leave you soon as they also know it's good to be a guest at someone else's house but home is best!

## *The End*

- 
- \* The Town carved in the stone – Vardzia - is meant here
  - \* The procession of the burial ceremony was accompanied by songs - This was a custom in Svaneti
  - \* The fish was taken from the sea... People were dancing and singing - This happened in Adjara
  - \* Ah! What would you like to have now? Ah means master in Abkhasian. The masters were treated with utmost respect and addressed as “Beautiful Gold”
  - \* People living in towers. Mountainous people, Khevsurains and Tushians are meant here.
  - \* In ancient Georgia, even before the discovery made by Jenner, it was wide spread to conduct vaccination which was called “invitation of small pox”.

„ბატონებს“ – „ღვთიდან გამოშობი-  
ლებს“ უწოდებდნენ.



“Batonebi” are called “sent by God”.

მაია გელაშვილის ორენოვანი წიგნი „მხიარულ-ბრაზიანი ბატონები“ თანამედროვე ქართული საბავშვო ლიტერატურის საინტერესო შენაძენია. „ბატონები“ მხატვრულ-შემეცნებითი ხასიათის ნაწარმოებია, ფოლკლორის საგანძურიდან სათუთად გამორჩეული და ბავშვებისათვის ზღაპრის ენით დაწერილი.

ავტორის საქებრად უნდა ითქვას, რომ მან შეძლო ერთმანეთთან შეეზავებინა მითოლოგიურ-ფოკლორული, ეთნოგრაფიული და ისტორიული მასალები, მოექცია ისინი ზღაპრული სიუჟეტის ჩარჩოში და ბავშვებისათვის გაეცნო ის თავისებურებები, რაც საქართველოს სხვადასხვა კუთხესა და იქ მცხოვრებ ადამიანებს ახასიათებს. ავტორი ახერხებს ამ სპეციფიურ – ბავშვთა ინფექციურ დაავადებებზე, „ბატონებზე“ არსებული რწმენა-წარმოდგენების საშუალებით პატარა მკითხველის ყურადღება მიმართოს ზნეობრივ ღირებულებებზე და ზოგადკაცობრიულ მარადიულ ფასეულობებზე.

ნაწარმოების სადა ენა, საინტერესო სიუჟეტური ქარგა, იუმორი, თანაგრძნობა, ფანტასტიური და რეალური სამყაროთა თანაარსებობა, ლექსები თუ შელოცვა-სიმღერების ტექსტები, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალები, ილუსტრაციები – ყველაფერი ერთად ქმნის ამ წიგნის ღირებულებას. ტექსტი ორენოვანია, ქართულ-ინგლისური და წიგნს ამითაც გააჩნია საინტერესო დატვირთვა, და ფუნქცია. ამ გამოცემის მნიშვნელობას ასევე ზრდის კომპაქტდისკი, საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი, ბატონებისათვის საამებელი სიმღერების ჩანაწერებით (გურული, იმერული, მეგრული, მოხეური, რაჭული და ქართლური ვარიანტები).

ასეთი წიგნებით შესაძლებელია, ბავშვობიდანვე ვაზიაროთ ჩვენი შვილები იმ დიდ ცოდნას და სულიერ კავშირებს, რომელიც ადამიანს თავის წარსულთან და მომავალთან გააჩნია. ასეთი წიგნები აყალიბებს ინტერესსა და ურთიერთობას მთლიან სამყაროსთან, ეროვნულ ცნობიერებასთან, კულტურასთან, ეთნოფსიქოლოგიასთან და იდენტიფიცირებას ახდენს მშობლიურ წიაღთან. განუმეორებელია ტრადიციის ძალა, რომელიც ყოფითობას განმქვრევსგან იცავს. შემთხვევითობა როდია ბევრ ქართულ ტრადიციულ, ხალხურ თუ რელიგიურ დღესასწაულებში ბავშვების მონაწილეობა?

„ბატონებს“ მთელ საქართველოში ხომ „ანგელოზების მობრძანებას“ უწოდებენ. „ღვთის ვალად“ თვლიან... დე, ეს წიგნიც თქვენი პატარების ბიბლიოთეკის ერთი კეთილი ანგელოზი ყოფილიყოს, რომელიც ჰუმანიზმის კაცთმოყვარეობის, სიკეთის გზაზე შეაყენებს მათ სულსა და გონს. განა „განათლებაც“ ღვთის ვალი არ არის? განა შესაძლებელია, ასეთ წიგნებს „ბატონებივით“ არ შევხვდეთ?

მარიამ ნიკლაური

## The Debt to God

Maya Gelashvili's bilingual book "Angry and cheerful Batonebi" is an interesting sample of contemporary Georgian children's literature. This is a literary and instructive story written in the best folkloristic traditions and is made easily understandable for a child.

It should be said, in favour of the author, that she managed to synthesise mythological, folkloristic, ethnographic and historical material, fit it within the frame of the fairy – tale and give children the opportunity to get acquainted with specific features characterising people living in different parts of Georgia. The author succeeds in attracting the children's attention to worldwide values and virtues through talking about "Batonebi".

The simple language pattern of the story and an interesting plot, humour, sympathy, co-existence of real and fictional worlds, poems, a charming style, historical and ethnographic materials and interesting illustrations all of these add greatly to the value of this book. In addition to this, the book is bilingual, published in Georgian and English, which makes it even more interesting. The book is accompanied by a CD with a records of songs dedicated to "Batonebi" coming from different regions of Georgia (Guria, Imereti, Mengrelia, Khevi, Racha, Kartli). This, without a doubt, adds to its novelty and interest..

It is possible to use such books while introducing our children to an overwhelming knowledge and those spiritual ties which connect us with our past and our future. Such books create an interest about our world, national mentality, culture, ethno-psychology. They also help us to identify with our roots and define our relationship with the rest of the world. The power of the tradition is unique and from this standpoint, participation of children in a number of Georgian traditional, folk or religious rituals is not accidental.

"Batonebi" is referred to as "Angels' arrival" in Georgia and people class some diseases as "a debt to God". May this book be one of the kind angels of your children's home library which will be able to direct their thoughts towards best traditions of humanism and virtue. Educating the souls of our children is also the debt to God and we should great such books like we do the arrival of "Batonebi".

*Mariam Tsiklauri*

1. საბოდბო – გურული – მაია გელაშვილი, მაია გობრონიძე, ბექა სეფისკვერაძე, ჩონგური – ლადო ბერძენიშვილი.
2. ნანინეი – იმერული – თეიმურაზ ანდლულაძე, ლევან ვეშაპიძე, ბექა სეფისკვერაძე.
3. ია პატონეფი – მეგრული – ვიქტორია სამსონაძე, მაია გელაშვილი, ნინო თუშიშვილი.
4. იავნანა – კახური – ანა ყელბერაშვილი, თეა კასაბური, ფანდური – თეა კასაბური.
5. იავნანე – მოხეური – ანა ყელბერაშვილი.
6. იავნანა – რაჭული – მაკა ხარძიანი, ნინო თუშიშვილი, ვიქტორია სამსონაძე.
7. იანვანა – ქართლური – სალომე სუხიტაშვილი, ანანო კობახიძე, თათია მარაული.

ავტორი მადლობას უხდის თბილისის ანდრია პირველწოდებულის სახელობის ლურჯ მონასტერთან არსებულ ბავშვთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ სტუდია „ამერ-იმერს“, მის ხელმძღვანელს გიორგი გარაყანიძეს და მასწავლებელს ნანა ვალიშვილს. ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „ნანინას“ წევრებს, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლის „ანჩისხატის“ და „ლაშარის“ მომღერლებს ლევან ვეშაპიძეს და ბექა სეფისკვერაძეს, ასევე ლადო ბერძენიშვილსა და მაია გობრონიძეს.

დისკი ჩაინერა და დამუშავდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ხმის ჩამწერ სტუდიაში პავლე კვაჭაძის მიერ.



1. Sabodisho Gurian - Maia Gelashvili, Maia Gobronidze, Beka Sepiskveradze, on chonguri Lado Berdzenishvili.
2. Naninei Imeretian - Teimuraz Andguladze, Levan Veshapidze, Beka Sepiskveradze.
3. Ia patonefi Mengrelian - Viktoria Samsonadze, Maia Gelashvili, Nino Tushishvili.
4. Iavnana Kakhetian - Ana Khelberashvili, Tea Kasaburi, on panduri - Tea Kasaburi.
5. Iavnane Khevian - Ana Khelberashvili.
6. Iavnana Rachan - Maka khardziani, Nino Tushishvili, Viktoria Samsonadze.
7. Iavnana Kartlian - Salome Sukhitashvili, Anano Kobakhidze, Tatia Marauli.

Author thanks to:

“Amer-imeri” - children’s folk and ethnographic studio at the Blue monastery .  
studio’s head Giorgi Garayanidze and teacher Nana Valishvili;

‘Nanina’ - women’s folk ensemble;

Members of men’s folk ensemble “Anchiskhati” and “Lashari”: Levan Veshapidze, Beka Sepiskveradze;

also Lado Berdzenishvili and Maia Gobronidze.

CD was written and processed in recording studio at Tbilisi Government Conservatory by Pavle Kvachadze.



[www.facebook.com/saunje publishing](http://www.facebook.com/saunje_publishing)

Tel.: 214 1 214; 239 55 87; 239 71 88

105

საქართველოს  
მეცნიერებათა აკადემია

F103.607  
3


3. ია პატონელი  
(მეგრული)  
Ia patoneli  
(Megrelian)

4. იანანა  
(კახური)  
Iavnana  
(Kakhetian)

5. იანანა  
(ქვეური)  
Iavnane  
(khevian)

2. ნანინცი  
(იმერული)  
Naninci  
(Imeretian)

1. ადისო  
(იმერული)  
Adisho  
(Imeretian)



6



F103.607  
3

